
Christian Network
TO END DOMESTIC ABUSE

ურთიერთობების ბიბლიური ხედვა ოჯახური ძალადობის დასასრულებლად





ეს ბუკლეტი გამოსცა World Evangelical Alliance Women's Commission-მა და Global Domestic Abuse Network-მა

ეს არის ბიბლიური ჩარჩოს განახლებული და გადამუშავებული გამოცემა, რომელიც 2000 წელს შეიმუშავა World Evangelical Fellowship-ის (დღევანდელი World Evangelical Alliance) გლობალურმა სამუშაო ჯგუფმა. ოცმა ქალმა მიიღო მონაწილეობა დოკუმენტის შექმნაში, რომელიც უმთავრეს პრიორიტეტად ჩამოაყალიბეს „ძალადობის უდიდესი და ამორალური პრობლემის" გასაგებად და მასთან გასამკლავებლად.

რედაქტირებულია 2020 და 2025 წლებში ამანდა ჯექსონის მიერ, რომელიც Christian Network to End Domestic Abuse-ის (CNEDA) დამფუძნებელია.

შესავალი

2020 წელს Covid-19 პანდემიის ერთ-ერთი ტრაგიკული შედეგი იყო ოჯახური ძალადობის შემთხვევების მკვეთრი ზრდა მთელს მსოფლიოში. ლოკდაუნის პირობებში მოძალადეებს თავიანთ მსხვერპლებთან დღეში 24 საათიანი წვდომა ჰქონდათ, მსხვერპლებს კი, ძირითადად ქალებსა და ბავშვებს, გაქცევის არანაირი გზა არ გააჩნდათ.

შემთხვევების მკვეთრმა ზრდამ და ამ თემის მასშტაბურმა განხილვამ, ეკლესიებში და უფრო ფართო საზოგადოებებში ამაზე საუბარს ისე გაუხსნა გზა, როგორც აქამდე არასდროს.

სამწუხაროდ, ლოკდაუნის დასრულებამ ოჯახში ძალადობის ზრდა ვერ შეაჩერა. სხვა ფაქტორებმა, განსაკუთრებით ფემინიზმისადმი წინააღმდეგობამ, ონლაინ პორნოგრაფიამ და იმ მამაკაცი ინფლუენსერების ჰოპულარობამ, რომლებიც ქალების მიმართ ძალადობრივ და დამამცირებელ ქცევას ახალისებენ, განაპირობა ის, რომ ოჯახში ძალადობა კვლავ ძალიან მაღალ დონეზე რჩება. პოლიცია და სამართლებრივი სერვისები გადატვირთულია, ტრაგიკულად, ყოველ კვირას ორი ან სამი ქალი იღუპება პარტნიორის ან ახლო ნათესავის ხელით.

როგორ უნდა უპასუხონ ქრისტიანებმა ოჯახებში არსებულ ძალადობასა და ტკივილს? როგორ უნდა

დაეხმარონ ქალებსა და კაცებს, რომლებიც ძალადობრივ ურთიერთობაში არიან?

დაეხმარონ ქალებსა და კაცებს, რომლებიც ძალადობრივ ურთიერთობაში არიან?

ეს ბუკლეტი დაგვეხმარება გავიგოთ თუ რას ამბობს ბიბლია ჯანსაღ ურთიერთობებზე და იმაზე, თუ როგორ აღვკვეთოთ ძალადობა. მისი მიზანია ადგილობრივი ეკლესიის ლიდერების აღჭურვა, რათა მათ შეძლონ პრობლემების ამოცნობა, სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობების წარმოჩენა და ძალადობის შემთხვევებზე ყურადღებითა და სიფრთხილით პასუხის გაცემა.

ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვაღიაროთ ძალადობის მასშტაბურობა და სიმძიმე, თანაგრძნობით ვუპასუხოთ მათ, ვინც იტანჯება და პრაქტიკული და სულიერი მხარდაჭერით ხელი შევუწყოთ მათ განკურნებას.

ჩვენ უნდა ვილოცოთ მათთვის, ვინც ძალადობის მსხვერპლია და იმ სპეციალიზებული სამსახურებისთვის, რომლებიც დაუღალავად შრომობენ ადამიანების უსაფრთხო ადგილას გადასაყვანად. ასევე უნდა მოვუწოდებდეთ მთავრობებს, უზრუნველყონ სპეციალიზებული სერვისების სათანადო ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, ვიყოთ ფხიზლად, რათა დავეხმაროთ მათ, ვისაც შესაძლოა ეს სჭირდებოდეს, მათ შორის თვით მოძალადეებსაც.

ღმერთის შეხედულება თითოეული ადამიანის ღირებულებაზე

ბიბლია პირველივე თავში ადასტურებს, რომ თითოეული ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსადაა შექმნილი და თითოეულს ღმერთის თვალში იგივე ღირსება და ღირებულება გააჩნია.

შემდეგ ღმერთმა თქვა, "შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსად; დაე იბატონოს... შექმნა ღმერთმა კაცი თავის ხატად, ღვთის ხატად შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი." დაბადება 1:26-27 [1]

ყველა მორწმუნის ვალდებულებაა, პატივი სცენ ერთმანეთს და ხელი შეუწყონ თითოეულის კეთილდღეობას.

პავლე ეუბნება რომაელებს, "ერთმანეთისადმი ძმურ სიყვარულში გულანთებულებმა, პატივისცემაში დაასწარით ერთურთს." რომაელთა 12:10 [2]

ქრისტეში არ უნდა არსებობდეს მიკერძოება ან დისკრიმინაცია სოციალური კლასის, სიმდიდრის, სქესის ან რასის მიხედვით. პავლე ამას ნათლად

---

[1] იხ. ასევე დაბადება 5:2-3, საქმეები 17:25-26, იაკობი 3:9.

[2] იხ. ასევე რომაელთა 15:1-2, გალატელთა 6:2, კოლასელთა 3:12-13

ამბობს ხშირად ციტირებულ მუხლში - “და აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში.” გალატელთა 3:28 [3]

ჩვენ მოწოდებულნი ვართ, დავემორჩილოთ ერთმანეთს ღვთის მოშიშებით. (ეფესელთა 5:21) და რადგანაც გვაქვს სულიწმინდის ძალა ურთიერთობები, ასეთი მაღალი სტანდარტებით, შესაძლებელი ხდება. [4] ჩვენ უნდა გამოვრიცხოთ რისხვა, მძვინვარება, ბილწსიტყვაობა და ბოროტება. ამის ნაცვლად, ჩვენი მიზანია შევიმოსოთ თანაგრძნობით, სიკეთით, თავმდაბლობით, თვინიერებითა და სულგრძელობით (კოლასელთა 3:5-10). წმინდა წერილი გვეუბნება, რომ ღვთის განზრახვა ოჯახისთვის მშვიდობა და ჩაგვრისგან დაცულობაა. ესაია საუბრობდა ქალაქზე, სადაც „შენი ყველა ძე, უფლისგან იქნება დამოძღვრილი და დიდი იქნება შენი ძეების კეთილდღეობა. სიმართლეში დაფუძნდები, შორს იქნები ჩაგვრისგან, რადგან არ შეგეშინდება.” ესაია 54:13-14

ქორწილებში ხშირად გამოყენებული მონაკვეთი აცხადებს იდეალურ სიყვარულს, რომელსაც ჩვენ ყველა ურთიერთობაში ვეძებთ.

---

[3] იხ. ასევე იაკობი 2:1-9

[4] გალატელთა 5:22-26, კოლასელთა 3:8

“სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია; არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, უწესოდ არ იქცევა, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და ბოროტს არ განიზრახავს, არ ხარობს უმართლობით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს; ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს. სიყვარული არასოდეს მთავრდება.” 1 კორინთელთა 13:4-8

ცხადია, რომ ღმერთს სურს, მშვიდ და თანაგრძნობით სავსე ურთიერთობებში ვიცხოვროთ. რწმენამ უნდა გაგვხადოს მოსიყვარულე და არა მოძალადე, ასევე მშვიდი და არა შეურაცხმყოფელი.

“ასევე ჩვენც, მრავალნი ერთ სხეულს შევადგენთ ქრისტეში, ხოლო ყოველი ჩვენგანი ასოები ვართ ერთიმეორისათვის.” რომაელთა 12:5

ჯანსაღი ქორწინებები

ოჯახში ჰარმონია ყველას პასუხისმგებლობაა. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული სიტყვა “ჰუპოტასო” ცოლებთან მიმართებაში ხშირად ითარგმნება როგორც “დამორჩილება”, მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს ახალ აღთქმასა და სხვა თანამედროვე ლიტერატურაში.

ეს ტერმინი შეიძლება ნიშნავდეს: თანხმობას, ერთგულებას, თანამონაწილეობას ან გაიგივებას, თავის მიძღვნას, პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას, ვალდებულებების შესრულებას სხვის მიმართ ან მნიშვნელოვანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ეს ღირებულებები ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქორწინების გაუმჯობესებაში.

რა გაგებითაც არ უნდა გაიგონ ადამიანებმა “დამორჩილება”, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყოველთვის, როდესაც წმინდა წერილი ცოლის მიერ მორჩილებაზე საუბრობს, არსებობს კონკრეტული მითითება, მეუღლის მხრიდან ძალადობის თავიდან ასაცილებლად: ეფესელთა მიმართ წერილში, პავლე ქმრებს მიმართავს: “ისე უნდა უყვარდეთ მამაკაცებს თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეულები. ვისაც თავისი ცოლი უყვარს, მას საკუთარი თავი უყვარს.” (5:28-29) [5]

განაცხადი, რომ ქმარი ცოლის თავია, განკუთვნილია ინტიმური ურთიერთობისა და რბილი დამოკიდებულებების წარმოსაჩენად და არა კონტროლისა თუ ძალადობის საფუძვლად.

როგორც წესი, ბერძნები სხვა ადამიანზე ძალაუფლების ან კონტროლის აღსანიშნავად

---

[5] ასევე იხილეთ, კოლასელთა 3:18-19 და 1 პეტრე 3:7

“თავის” მეტაფორას არ იყენებდნენ. უფრო ხშირად ეს იყო ურთიერთდამოკიდებულების (1 კორინთელთა 12:21), ერთმანეთის მხარდასაჭერისა და ერთ სხეულში ზრდის გამოხატულება. (ეფესელთა 4:15–26, კოლოსელთა 2:19)

ეს თემა სხვაგვარად აღიქმება მაშინ, როდესაც ქრისტე, როგორც თავი და ზეციური სიძე, ეკლესიას, როგორც პატარძალს, სრული პოტენციალის განვითარების საშუალებას აძლევს. ჭეშმარიტად მოსიყვარულე ქმარი თავის ცოლს აძლევს შესაძლებლობას იყოს სრულყოფილი პიროვნება, სრულად აღჭურვილი ქრისტეს მსახურებისთვის. [6]

ძალადობრივი ცოლქმრული ურთიერთობა ვერანაირად ვერ იქნება ქრისტეს სიყვარულის გამოხატულება ეკლესიის მიმართ. ღმერთი თავის თავს სიონის ქმარს უწოდებს და ჰპირდება, რომ მას ჩაგვრა და შიში აღარ ეცოდინება. ღმერთის მიერ აღწერილი ეს მზრუნველობა მკვეთრად განსხვავდება დამსხვრეული ადამიანური ურთიერთობებისგან, სადაც ქალი უარყოფილია.

“რადგან შენი შემქმნელია შენი ქმარი, ცაბაოთ უფალია მისი სახელი; ისრაელის წმიდაა შენი გამომსყიდველი, მთელი ქვეყნის ღმერთად იწოდება იგი. რადგან უფალმა მოგიხმო, როგორც ცოლს, მიტოვებულს და სულით მგლოვიარეს,

---

[6] ეფესელთა 5:25-27

როგორც სიყმაწვილის ცოლს, უარყოფილს! ამბობს შენი ღმერთი.” (ესაია 54:5-6)

წმინდა წერილი მოუწოდებს ქმრებსა და ცოლებს, პატივი სცენ ერთმანეთს, შეურაცხყოფის, ზიანისა და დამცირების ნაცვლად. სულიწმინდის ნაყოფი გვთავაზობს ძალადობისთვის პირდაპირ ანტითეზის, რაც არის: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე და თავშეკავება. (გალატელთა 5:22)

ქალების წინააღმდეგ ძალადობის პრევენცია

ბიბლიის წინასწარმეტყველები ისმენდნენ ღვთის სიტყვას და გაბედულად აცხადებდნენ მას. ღმერთი მიუძღვოდა მათ, რათა ეგლოვათ გარშემო არსებული ბოროტება და კონკრეტული საკითხები ცხარე ლოცვისა და ფიქრის საგნად ექციათ. ისინი მოუწოდებდნენ კაცებსა და ქალებს, შეეფასებინათ საკუთარი დამოკიდებულებები და შეეცვალათ საკუთარი ქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არაპოპულარულნი იყვნენ, მაინც რჩებოდნენ საკუთარი დავალების ერთგულნი, რაც იყო ღვთის სიტყვის გაცხადება.

დღევანდელი ქრისტიანი ლიდერებიც მსგავსი ამოცანის წინაშე დგანან. ჩვენ უნდა შევიცნოთ

საზოგადოების მდგომარეობა, გავაცნობიეროთ მისი ცოდვიანობა და დრო დავუთმოთ ლოცვასა და წმინდა წერილის შესწავლას, მაშინ, როდესაც მოველით ღმერთის წინასწარმეტყველურ ხმასა და მოქმედებას.

ბოროტება, რომლის შესახებაც არ გვსურს საუბარი, არის ქალების მიმართ ძალადობა. ჩვენ გვსურს ვიფიქროთ, რომ ეს არ შეიძლება მოხდეს ქრისტიანებს შორის და მითუმეტეს ქრისტიანულ სახლში ან ეკლესიაში. მიუხედავად ამისა, 2013 წელს ეკვადორსა და პერუში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ევანგელურ ეკლესიებში ზრდასრული ადამიანების 70%-მა, ბოლო სამი წლის განმავლობაში, განიცადა გარკვეული სახის ოჯახური ძალადობა. [7]

ასეთი მწარე რეალობა გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ ცოდვილი პრაქტიკები ხშირად უგულებელყოფილია ან დაშვებული ან ზოგჯერ

---

[7] კვლევა ჩატარდა Paz y Esperanza-ის, Communidad-ისა და Restored-ის მიერ, 2027 ევანგელისტს შორის. პერუში ევანგელისტი ქალების 60%-მა და ევანგელისტი კაცების 40%-მა განაცხადა, რომ ისინი ბავშობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. ეკვადორში ეს მაჩვენებელი იყო 40% და 20%. არგენტინაში კი - 30% და 20%.

წახალისებულიც კი, როგორც ეკლესიაში, ასევე მთელს საზოგადოებაშიც. [8]

ფიზიკური, სექსუალური, ემოციური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ღვთისთვის საძულველია.

მსოფლიოს მასშტაბით ქალები კვლავ აღნიშნავენ, რომ ოჯახური ძალადობა მთავარი პრობლემაა.

ასევე უნდა გავაცნობიეროთ, რომ ბავშვებში ინცესტი და ძალადობა, ისევე როგორც მშობლების მიერ საკუთარი შვილების სექსუალური თუ შრომითი ექსპლუატაციისთვის გაწირვა, იმდენად ამაზრზენი საკითხებია, რომ ეკლესიები ვერ ახერხებენ მათ საფრთხეებზე საუბარს. [9]

ხშირად, ეკლესია და მისი ლიდერები სრულად ვერ აცნობიერებენ პრობლემის სიდიდეს ან იმ ხანგრძლივ ფიზიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და სულიერ ზიანს, რასაც მსხვერპლები და მათი ოჯახები განიცდიან. საეკლესიო საზოგადოება უგულო არ არის, თუმცა ხშირად ქრისტიანებმა არ

---

[8] ჯილდოს მფლობელი ავსტრალიელი ჟურნალისტი, ჯულია ბერდი, ეკლესიაში ძალადობის საკითხებს იკვლევდა და იუწყება, რომ ეკლესიის ბევრი ლიდერი არასაკმარისად აფასებს ოჯახში ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის მასშტაბებსა და გავლენას. https://www.nytimes.com/2018/05/10/opinion/churches-can-no-longer-hide-domestic-violence.html

[9] იხ. ჯოი უილსონი, „მსახურება ინცესტის მსხვერპლთათვის“, 2017 (ინგ. Joy Wilson, ‘Ministering to Victims of Incest’, 2017)

იციან როგორ მოიქცნენ იმ შემთხვევაში, როდესაც ქალი ძალადობის მსხვერპლია. [10]

მიუხედავად ამისა, ქრისტიანული თანაგრძნობისა და მოქმედებისკენ მოწოდება ძალიან ცხადად ჩანს ისეთ წინასწარმეტყველებში, როგორიცაა იერემია. „დილიდან სამართლიანად განიკითხეთ და იხსენით მძარცველის ხელით გაძარცვული“ 21:12. [11]

ეს ის მომენტია, როდესაც ფრთხილად უნდა შევისწავლოთ თუ რას ამბობს წმინდა წერილი. ისევე, როგორც ალკოჰოლმა შეიძლება ცოლის მიმართ ძალადობა გააღვივოს, ასევე წმინდა წერილის დამახინჯებამ შესაძლოა მსგავსი ძალადობა წაახალისოს. ბევრმა ძალადობის მსხვერპლმა ქალმა ხელახლა განიცადა სასტიკად მოპყრობა, ქრისტიანული ჭეშმარიტებებით მანიპულირების შედეგად. უნდა განვმარტოთ მცდარი შეხედულებები, იმაზე თუ რას ამბობს ბიბლია ქალების მიმართ ძალადობაზე. უნდა

---

[10] გვსურს გავაცნობიეროთ, რომ მამაკაცები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი არიან, შესაძლოა სხვადასხვა სახის ბარიერებს წააწყდნენ, იმისათვის, რომ მათი დაიჯერონ და დახმარება მიიღონ. ძალადობის მსხვერპლთა დაახლოებით 85-90% არიან ქალები, მაგრამ კაცებმაც შესაძლოა განიცადონ მსავსი რამ, ხშირად ეს ემოციური და ფსიქოლოგიური მანიპულაციის ფორმით გამოიხატება, ვიდრე ფიზიკური ძალადობით.

[11] იხ. ასევე იერემია 22:3, 15-18

მივმართოთ წმინდა წერილს და დავსვათ როგორც ძველი, ისე ახალი კითხვები.

როგორ შეიძლება საეკლესიო კულტურამ ხელი შეუწყოს ძალადობას

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას. ასევე ვიცით, რომ ხელახლა შობილი მორმწუნეებიც კი სცოდავენ. ჩვენში მყოფი სულიწმინდა დანაღვლიანებულია, თუმცა ქრისტიანებს მაინც შეუძლიათ გააკეთონ საკუთარი არჩევანი, სიკეთესა ან ბოროტებას შორის.

ჩვენ ძალიან მკაფიოები უნდა ვიყოთ ბიბლიის მიერ ძალადობისა და ბოროტმოქმედების დაგმობის საკითხში. ბიბლიაში ასზე მეტი მუხლია, რომელიც ეხება ცემას, ძალადობას, გაუპატიურებას, ინცესტს, დევნას, ჩასაფრებას, სხვისი სიტყვების დამახინჯებას, მუქარასა და დაშინებას.

რადგან ბიბლია გმობს ძალადობასა და სასტიკ მოპყრობას, ეკლესია ერთგულად უნდა ასწავლიდეს ამ ჭეშმარიტებას. თუმცა რამდენად ხშირად გვესმის ქადაგება ძალადობის საშინელებებისა და ქალებისთვის მისი შედეგების შესახებ?

ბიბლია გვეუბნება, რომ ძალადობრივ ქცევას სერიოზული შედეგები მოჰყვება. ღმერთი არ მოითმენს გარეგნულ ღვთისმოსავ ქმედებებს,

რომლებიც უთანხმოებას ან დავას მალავს და არ მოუსმენს „ბოროტი მუშტების“ მქონეთა ლოცვებს. [12]

პავლე აფრთხილებს ახალგაზრდა ტიმოთესა და ტიტეს, რომ ხუცესი ან ეპისკოპოსი არ უნდა იყოს მოჩხუბარი. [13] ბიბლიის King James Version-ის თარგმანი აცხადებს, რომ ინდივიდი არ უნდა იყოს “თავდამსხმელი” („striker”), მაშინ როცა უფრო თანამედროვე თარგმანებში ხშირად გამოიიყენება სიტყვა „მოჩხუბარი“. ორიგინალ ბერძნულში სიტყვასიტყვით ნიშნავს „ის, ვინც ურტყავს“.

თუ პავლე ასეთი საქციელის წინააღმდეგ აფრთხილებს, სავარაუდოდ ისეთი პრობლემა არსებობდა, რომლის მოგვარებაც მას სურდა. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ.

ლიდერებისთვის კიდევ ერთი აუცილებლობა კარგი ურთიერთობების მქონე ოჯახის ყოლაა. პავლე იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „არა ლოთი, არა მოჩხუბარი, არამედ შემწყნარე, თვინიერი და არა ფულის მოყვარული, თავისი სახლის კარგი მმართველი, რომელსაც შვილები მორჩილებაში ჰყავს ყოველგვარი ღირსებით“. (1 ტიმოთე 3:3-4). სახლში სიტყვიერი ან სექსუალური ძალადობა

---

[12] იხ. ესაია 58:4, 1 პეტრე 3:7

[13] 1 ტიმოთე 3:3 და ტიტეს 1:7

ნებისმიერ ადამიანს უფლებას ართმევს აიღოს პასუხისმგებლობები ღმერთის ოჯახში.

პავლე აცხადებს, რომ არავინ უნდა იძალადოს მეორეზე ან გამოიყენოს იგი სექსუალურ ურთიერთობებში, იქნება ეს ქორწინებაში თუ მის ფარგლებს მიღმა: „სიძვას განერიდეთ! რათა თითოეულმა თქვენგანმა იცოდეს თავისი ჭურჭლის შენახვა სიწმიდით და პატივით, და არა გარყვნილების ავხორცობით, წარმართების მსგავსად, რომლებიც ღმერთს არ იცნობენ. რათა არავინ გადავიდეს ზღვარს და ანგარებით არ მიუდგეს თავის ძმას საქმეში.“ 1 თესალონიკელთა 4:3-6

მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-ქმარმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ თავიანთი სხეულები (1 კორინთელთა 7:3-5), ეს უნდა გაკეთდეს არა სისასტიკითა და იძულებით, არამედ სიყვარულით, პატივითა და სიწმინდით.

ეკლესიის ქმედება ძალადობის წინააღმდეგ

წმინდა წერილი გვეუბნება, რომ ღვთის ხალხის მოვალეობაა იხსნან ღარიბი, როდესაც შეჰღაღადებს და ჩაგრული, რომელსაც შემწე არა ჰყავს. (ფსალმუნი 71:12)

რატომ ვაიგნორებთ ასე ხშირად ძალადობას, მაშინაც კი, როცა ვიცით, რომ ეს ეკლესიის შიგნით ხდება? ჩვენი მოვალეობაა უზრუნველვყოთ მსხვერპლთა უსაფრთხოება და შევთავაზოთ მათ ნებისმიერი სახის დახმარება, რითაც შეგვიძლია: ჩარევა, ემოციური და სულიერი მხარდაჭერა, საცხოვრებელი, საკვები, ბავშვზე ზრუნვა, კონსულტაცია, ლოცვა და სიყვარული. [14]

ერთ-ერთი მთავარი მცდარი შეხედულებაა, რომ ქალი [15] უნდა დაიტანჯოს ქრისტეს მიბაძვაში, რათა მისი ქმარი ამ ტანჯვის შედეგად მოიქცეს. მართალია, ბიბლია აქებს ისეთ ქრისტიანებს, ვინც იტანჯება და უარს აცხადებს რწმენის უარყოფაზე, თუმცა, პეტრეს პირველ ეპისტოლეში ტანჯვის შესახებ ცნობილი მონაკვეთი მიმართულია მათდამი, ვინც დევნის დროს იტანჯება. [16]

ეს არ ნიშნავს იმას, რომ მორწმუნეებმა თავიანთ თავს ნება მისცენ გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტე მზად იყო ჩვენი დახსნისთვის სიცოცხლე გაეწირა, სხვა

---

[14] მრავალ მუხლს შორის იხილეთ რჯ. 15:7-11; ეს. 58:6-10; ეზეკ. 18:5-9; მათ. 25: 31-46

[15] როგორც მანამდე აღვნიშნეთ, ამ სტატიაში ჩვენ ძირითადად ქალებს ვგულისხმობთ, როგორც ძალადობის მსხვერპლებს და არა როგორც დამნაშავეებს, რადგან მსხვერპლთა 90%-მდე ქალია.

[16] 1 პეტრე 2:18-19 და 4:14-16

სიტუაციებში ის თავს იცავდა ძალადობისგან, ცილისწამებისგან, მოტყუებისგან, სიტყვიერი და ემოციური შეურაცხყოფისგან. [17]

ცოლის კეთილმა და თავაზიანმა დამოკიდებულებამ შეიძლება ქმარი ქრისტესკენ მოაბრუნოს. თუმცა, მისი შეურაცხყოფის ატანა ნებისმიერის სულიერ ცხოვრებას აზიანებს.

კიდევ ერთი დამაზიანებელი სწავლებაა, თითქოს ძალადობრივ ურთიერთობაში მყოფმა ქალმა უფრო გულმხურვალედ უნდა ილოცოს ძალადობის „მოსაგვარებლად“, რადგან მისი მხრიდან „ერთხორცობის“ კავშირის გაწყვეტა არასწორი იქნებოდა. [18] როგორც ჩანს, პასტორები ხშირად ქორწინების კავშირს უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე მსხვერპლის უსაფრთხოებას. მსგავსი დამოკიდებულება ასევე მიანიშნებს იმაზე, თითქოს ძალადობაში გარკვეული წვლილი თავად ქალსაც მიუძღვის.

ყველას გულწრფელად გვსურს, რომ პრობლემური ქორწინებები გაჯანსაღდეს, მაგრამ როდესაც მოძალადე უარს ამბობს შეცვლაზე, მსხვერპლი

---

[17] იხ. ლუკა 4:28-30; , მარკოზი 3:22-30; იოანე 8:48-59, 10:39

[18] ქორწინება დადგინდა მამაკაცისა და დედაკაცის ერთხორცად შესაკავშირებლად, სრულყოფილი ერთობისთვის. (დაბადება 2:24, ეფესელთა 5:31)

ვალდებულია დაიცვას როგორც საკუთარი, ისე შვილების სიცოცხლე. ძალადობრივ ურთიერთობებში სასურველი ვარიანტი ძალადობის შეჩერებაა. თუმცა, თუ პასტორისა და მზრუნველი საზოგადოების მხრიდან ძალადობის შეჩერებაში დახმარების განმეორებითი მცდელობები უშედეგო აღმოჩნდება, სხვა ვარიანტების განხილვა იქნება საჭირო, მათ შორის განშორება, ჩარევა და სამართლებრივი ქმედებები.

ძალიან ხშირია, როდესაც ქმარი მორჩილებასთან დაკავშირებულ ბიბლიურ მუხლს ძალადობის გასამართლებლად იყენებს ან ფიქრობს, რომ ქალმა შესაძლოა ძალადობაში წვლილი რაიმე არასწორი საქციელით შეიტანა. [19] ეს არასწორი სწავლება გრძელდება, შესაძლოა გულგრილობით ან პასტორების ღია მხარდაჭერით. [20]

---

[19] 2013 წლის კვლევის (იხილეთ შენიშვნა მე-9 გვერდზე) თანახმად, გამოკითხულთა 30%-მა განაცხადა, ცოლი იმიტომ იტანჯება, რომ ქმარს არ ემორჩილება. ეკვადორში ევანგელისტების 20%-ი და 30%-ი პერუსა და არგენტინაში ფიქრობდა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა ისეთი ცუდი რაღაც ჩაიდინა, რამაც ძალადობა წააქეზა.

[20] მათეს 18:15-17-ში იესო თავის მოწაფეებს ეუბნება, რა უნდა გააკეთონ, თუ ვინმე მათ წინააღმდეგ შესცოდავს. მსხვერპლები, როგორც წესი, ამ პირველ ნაბიჯს სრულად ასრულებენ, რის შემდეგაც ეკლესია უნდა ჩაერიოს. მაგრამ თუ ძალადობა არ შეწყდება, მაშინ იესო ნათლად ამბობს, რომ „მოძალადე“ უნდა მოშორდეს.

როგორ გავუმკლავდეთ მოძალადეებს?

სხვაგვარი დახმარება უნდა აღმოეჩინოს მოძალადესაც, რომელმაც პასუხი უნდა აგოს თავის ქმედებებზე. ხშირად ის უფრო მჭევრმეტყველი და დამაჯერებელია, ვიდრე მსხვერპლი, რის გამოც ეკლესია მხარს მას უჭერს, მსხვერპლის მიმართ კი მკაცრ მსჯავრსა და უნდობლობას იჩენს.

ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ მორწმუნე საზოგადოებამ უნდა გამოასწოროს ცოდვის ჩამდენი ადამიანი: საკუთარი ოჯახის წინააღმდეგ ძალადობა მართლაც მძიმე ცოდვაა.

“შემცოდენი ამხილე ყველას წინაშე, რათა სხვებმაც იქონიონ შიში..” (1 ტიმოთე 5:20). [21]
ბიბლია კონკრეტულად ამბობს, რომ დამნაშავე უნდა დაექვემდებაროს საეკლესიო მხილებასა და სასჯელს. [22]

მათ, ვინც იცის ძალადობის შესახებ, არ უნდა განაგრძონ ისე მოქცევა, თითქოს არაფერი ცუდი არ მომხდარა. დუმილი შეიძლება არასწორად იქნეს

---

[21] მათე 18:15-17; იაკობი 5:19-20

[22] იხ. 1 კორ. 5:1-13; 2 თეს. 3:6, 14-15; იგ. 3:31, 24:1-2

სამართლიან და სამართლებრივ შედეგებს საშუალებას ვაძლევთ თავიანთი საქმე გააკეთონ. [23]

რა ვთქვათ მონანიებაზე?

ეკლესიამ უნდა იცოდეს, რომ შეიძლება მოძალადე ძალიან მომნანიებელი ჩანდეს. სინამდვილეში, შესაძლოა ძალიან ნანობდეს სხვისთვის მიყენებულ ზიანს, მაგრამ ამაზე მეტად აწუხებდეს ის, რომ მისი ცოდვილი საქციელი გამჟღავნდა. სინანული არ არის იგივე, რაც მონანიება. (ებრაელთა 12:17).

ძალადობის აფეთქებას ხშირად მოჰყვება სინანულის პერიოდი და ეს არ უნდა აგვერიოს ნამდვილ მონანიებაში. ძალადობა ხშირად ციკლურად მიმდინარეობს: თავდაპირველად ძალადობა, შემდეგ თაფლობის თვის პერიოდი (რომლის დროსაც დამნაშავე პატიებას ითხოვს) და შემდეგ დაძაბულობის ზრდა, ძალადობის კიდევ ერთ ეპიზოდამდე.

ჭეშმარიტი მონანიება ნიშნავს ნაბიჯების გადადგმას, ყველაფრის გაკეთებას, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ძალადობა აღარ განმეორდეს. ეს შეიძლება ნიშნავდეს: ისეთი ჯგუფის პოვნას, ვის წინაშეც ანგარიშვალდებული იქნება, მოძალადეთა ჯგუფში გაწევრიანებას,

---

[23] იხ. 1 კორინთელთა 5:5; 1 ტიმოთე 1:20.

ინდივიდუალური კონსულტაციის მიღებას ან იზოლაციისა და რეფლექსიის პერიოდს. ჭეშმარიტი მონანიება გულისხმობს ქცევის შეცვლას, რაც შესაძლებელია იესო ქრისტეში. ისევე, როგორც საული, მკვლელი, გახდა მოციქული პავლე, ასევე ღვთის წყალობით მოძალადეს შეუძლია განავითაროს შეცვლილი დამოკიდებულებები და ქცევები. გამოჯანმრთელების გზა ხშირად მტკივნეულია და მოითხოვს ღვთის წმიდების ლოცვით მხარდაჭერას.

პატიება და შერიგება

ბიბლიაში ბევრი რამ წერია პატიების შესახებ და ხშირად პასტორი ძალიან სწრაფად მოითხოვს, რომ ცოლმა აპატიოს ქმარს, რომელმაც ბოდიში მოიხადა. პატიება სულიწმინდის საქმეა. მოძალადისთვის მას წინ უნდა უძღოდეს ჭეშმარიტი მონანიება. ძალადობის მსხვერპლისთვის, პატიება განკურნების პროცესის ნაწილია, რასაც შესაძლოა დასჭირდეს დრო და ამასთან ერთად დისტანცია.

მსხვერპლს სრული უფლება აქვს იზრუნოს როგორც საკუთარი, ისე თავისი შვილების უსაფრთხოებაზე. ნაჩქარევი პატიების დაჟინებითმა მოთხოვნამ შესაძლოა ქალი და მისი შვილები კვლავ ძალადობის ან სიკვდილის საფრთხის ქვეშაც კი

დააყენოს. [24] მსხვერპლს შესაძლოა სჭირდებოდეს გახანგრძლივებული დრო, სანამ პატიებას შეძლებს. ეს არ უნდა მოხდეს დაძალებით ან ნაჩქარევად. შესაძლებელია ძალიან დიდი დრო დასჭირდეს, სანამ ოჯახის წევრები შეძლებენ უსაფრთხოდ იგრძნონ თავი იმ ადამიანის გვერდით, ვინც მათი ნდობა დაკარგა და საფრთხის ქვეშ ჩააგდო მათი სიცოცხლე. ღმერთს შეუძლია მოიტანოს პატიება სწორ დროს და სათანადო გზით. ეს კი არ ნიშნავს, რომ ოჯახი ყოველთვის შეძლებს გაერთიანებას, თუნდაც პატიების შემდეგ.

ბიბლია ბევრს საუბრობს გულისა და სხეულის განკურნებაზე. ასევე დაწერილია შესაფერის დროსა და სეზონებზე, გატეხილ და მომნანიებელ სულსა და განახლებაზე. ღმერთს წარმოუდგენლად ძალუძს განკურნოს ყველა მსხვერპლი, მათ შორის ისინიც, რომლებმაც საზარელი სისასტიკე გადაიტანეს. იმ ქალებს, რომლებიც გააუპატიურეს და მათაც, რომლებიც ყოფილან სექსუალური ტრეფიკინგის ან სამხედრო დანაშაულის მსხვერპლნი სჭირდებათ ზრუნვა, თანაგრძნობა და პრაქტიკული მხარდაჭერა ეკლესიის მხრიდან. დაშავებულებმა უნდა გააცნობიერონ ღვთიური

---

[24] სიკვდილზე საუბარი შესაძლოა ზედმეტად დრამატულად ჟღერდეს, მაგრამ მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებულმა სტატისტიკამ აჩვენა, რომ ათასობით ქალი კვდება ყოველწლიურად მათი ამჟამინდელი თუ ყოფილი პარტნიორის მიერ.

შეხების საჭიროება, ისევე როგორც მოძალადეებმა - მონანიების საჭიროება.

თუ ძალადობის მსხვერპლ ქალსა და მოძალადეს შორის შერიგება უნდა მოხდეს, ამისთვის საფუძველი ძალიან ფრთხილად უნდა მომზადდეს. იმის მიუხედავად, თუ რამდენად ძლიერ სურთ მსხვერპლის მხარდამჭერებს განკურნების პროცესის დაჩქარება, მათ არ შეუძლიათ ამ პროცესის ვადების კონტროლი. მზრუნველებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ძალადობა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ხდებოდა, როგორც წესი, რამდენიმე თვეში ვერ აღმოიფხვრება. მიუხედავად იმისა, რომ ღვთიურ განკურნებასა და აღდგენას შეუძლია მყისიერი სულიერი განახლება მოიტანოს, ძალადობის ნაიარევი ხშირად მრავალი წლის განმავლობაში რჩება.

ასევე, მოძალადესაც სჭირდება დრო თავისი საქციელის მოსანანიებლად, დახმარების მოსაძიებლად და ძალადობრივი ჩვევების შეცვლის დასაწყებად. თუ შერიგება ნაჩქარევად მოხდება, მოძლადემ შესაძლოა დაასკვნას, რომ დანაშაული სინამდვილეში სერიოზული არ ყოფილა. ძალადობის მსხვერპლს სჭირდება დრო ლოცვისა და ფიქრისთვის, სხეულისა და სულის მთლიანობისკენ მიმავალ გზაზე შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად. ორივე მხარემ ყურადღებით უნდა განიხილოს, თუ როგორ აიცილონ თავიდან

განმეორებითი ძალადობა და ხელახლა მსხვერპლად გახდომის საფრთხე.

შერიგების პროცესში მორწმუნეთა საზოგადოება შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, ამიტომ ეკლესიის წევრები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, არ დააჩქარონ პროცესი და არ მოახდინონ ზეწოლა, მაშინაც კი თუ ქალი მზადყოფნას გამოხატავს. პასტორებმა და მეგობრებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ძალადობის მსხვერპლმა ქალმა და მათმა შვილებმა შესაძლოა კვლავ საფრთხის წინაშე დააყენონ საკუთარი თავი, ამიტომ ეკლესიამ ყურადღებით უნდა აკონტროლოს როგორც უსაფრთხოების, ისე განკურნების საკითხები.

ასევე უნდა გავაცნობიეროთ, რომ თავად მოძალადეც არის დაჭრილი, ხშირად ბავშვობაში გადატანილი ტრამვით და, რა თქმა უნდა, საკუთარი ქცევით. ესეც მოითხოვს განკურნებასა და
სიყვარულით სავსე ქრისტიანულ მხარდაჭერას,
რათა დამნაშავემ შეძლოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, როგორც მისი ახლობელი და საყვარელი ადამიანებისთვის, ისე მორწმუნე საზოგადოებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი ხშირად ადამიანური მოლოდინისა და კონტროლის მიღმა მოქმედებს, ეკლესიას მაინც აქვს ვალდებულება, დაგმოს ცოდვა. მორწმუნე საზოგადოება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია, ის მსხვერპლსა და მოძალადეს ლოცვით,

სიყვარულით და პრაქტიკული მხარდაჭერით უდგას გვერდით. რამდენადაც ღვთის სიყვარული ვლინდება კეთილ საქმეებსა და გამხნევებაში, იმდენად ძლიერდება განკურნების პროცესი - მათ შორის, ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობაც.

იმედი ოჯახებისთვის

ზოგჯერ ქრისტიანები ოჯახს აიდეალებენ. ბიბლია გვეუბნება, რომ ღმერთი მოქმედებდა ოჯახების მეშვეობით, მათი პრობლემებისა თუ სირთულეების მიუხედავად. საკმარისია გავიხსენოთ ადამის, აბრაამის, ისაკის, იაკობისა და დავითის ოჯახები, რათა გავიგოთ, რომ ბიბლიურ ტექსტებში არ ხდება ამ მწარე რეალობების უარყოფა ან დამალვა. ბიბლიური დროის მსგავსად, ძალადობამ არ იცის რელიგიური საზღვრები. იგი გვხვდება როგორც მორწმუნეთა საზოგადოებაში, ისე მის მიღმა.

ბედნიერ ქრისტიანულ ოჯახად თავის მოჩვენება კიდევ უფრო ამძიმებს ქალების მიმართ ძალადობის ტრაგედიას. პრობლემის უარყოფა, შემცირება ან იგნორირება აფერხებს სულიწმინდის მოქმედებას. წმინდა წერილი პრობლემურ ოჯახებს განკურნების იმედს სთავაზობს, თუმცა ამისათვის საჭიროა გულწრფელობა, რწმენა, სერიოზული ძალისხმევა და მორწმუნე საზოგადოების მხარდაჭერა.

ჯანსაღი ქრისტიანული რეაგირება ფიზიკურ და ემოციურ ოჯახურ ძალადობაზე

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ეკლესიის ლიდერს, აღიარონ ოჯახში ძალადობის მასშტაბი იმ საზოგადოებებში, სადაც მსახურობენ და ასევე საკუთარ ეკლესიაში არსებულ ოჯახებში.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქრისტიანს გააცნობიერონ, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ ძალადობის მსხვერპლებს ყველანაირად: ლოცვით, პრაქტიკული დახმარებითა და პროფესიული რჩევებით.

ჩვენ მოვუწოდებთ ეკლესიის ლიდერებს გააცნობიერონ, რომ ზოგიერთი საეკლესიო სწავლება ძალადობის შესახებ იყო არაეფექტური და, რეალურად, შესაძლოა, ხელსაც კი უწყობდა მოძალადეების დაცვას.

ჩვენ მოვუწოდებთ ეკლესიის ლიდერებს, ხმა აიმაღლონ და იქადაგონ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, რათა მკაფიოდ განაცხადონ, რომ ეს მიუღებელია ღვთის სასუფეველში. ასევე, მათ უნდა წარმოაჩინონ ჯანსაღი, ღვთისმოსავი ურთიერთობების მაგალითი, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთმორჩილებასა და ერთმანეთის ღვთისგან ბოძებული ნიჭების პატივისცემაზე.

ჩვენ მოვუწოდებთ ეკლესიებს, ხმამაღლა ისაუბრონ ძალადობაზე და არ სცადონ შემთხვევების მიჩქმალვა ეკლესიის ან ლიდერების რეპუტაციის დასაცავად.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ეკლესიას, თანასწორად ეპყრობოდნენ საკუთარ სამწყსოს და არ მიანიჭონ უპირატესობა გავლენიანი მამაკაცების ხმას ბავშვებზე, მოხუცებსა თუ ქალებზე მეტად.

ჩვენ მოვუწოდებთ პასტორებს, რომ ოჯახში ძალადობის შესაჩერებლად, სამწყსოზე ზრუნვასთან ერთად, ითანამშრომლონ საზოგადოებაში არსებულ პროფესიულ და იურიდიულ სამსახურებთან.

ამ ბუკლეტის ავტორები მწუხარებით აღნიშნავენ, რომ მისი პირველი გამოცემიდან ოცი წლის შემდეგაც, ოჯახში ძალადობის მასშტაბები არ შემცირებულა.

ჩვენ ვლოცულობთ, რომ ყველა სიტუაციასა და ყველა ერში, ეკლესიების გულებში დაიბადოს სურვილი, უარი თქვან სიცრუესა და დაფარვაზე. აღიარონ, რომ ქალები და ბავშვები კვლავ ხდებიან საშინელი ძალადობის მსხვერპლნი და დაუდგნენ გვერდით მათ, ვისაც საკუთარი ბრალის გარეშე, ძალადობამ თვითღირსების განცდა დაუნგრია.

ეს ბუკლეტი ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე - იხ.

https://women.worldea.org/resources/



Christian Network
TO END DOMESTIC ABUSE

WOMEN'S COMMISSION
WEA